

# წლიური ანგარიში 2022

საზოგადოება ბილიკი

SOCIETY BILIKI

ბილიკიდან ცხოვრების გზაზე



# წლიური ანგარიში 2022

## ხედვა:

„საზოგადოება ბილიკი“ ისწრაფვის აქტიური მოქალაქეებისგან შემდგარი, ძლიერი და დემოკრატიული საზოგადოებისკენ, რომელიც ზრუნავს თითოეული ბავშვის კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე.

## ორგანიზაციის მისია:

გაზარდოს ახალგაზრდების, თემის და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები და გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

## სამიზნე ჯგუფები:

- 0-18 წლამდე ბავშვები და მოზარდები
- 18-29 ახალგაზრდები
- ადგილობრივი თემის წარმომადგენლები

## პროგრამების ჩამონათვალი:

- ბავშვზე ზრუნვის პროგრამა
- თემის განვითარების პროგრამა
- სამოქალაქო განათლების პროგრამა
- მოხალისეობის პროგრამა

# სარჩევი

„საზოგადოება ბილიკი"- ს ასოციაციის თავმჯდომარის მარინე მღებრიშვილის სიტყვა 6

ბავშვზე ზრუნვის პროგრამის განხორციელებული პროექტები 7

თემის განვითარების პროგრამის განხორციელებული პროექტები 18

სამოქალაქო განათლების პროგრამა 31

მოხალისეობის პროგრამა 34

გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში „საზოგადოება ბილიკისთვის" დაფინანსებული ერთობლივი პროექტები 40

2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ვიზიტები 45

მედიის მიერ გაშუქებული სიუჟეტები და სტატიები 52

2022 წლის ფინანსური ანგარიში 55

პარტნიორობა და კოალიციები 56





„საზოგადოება ბილიკი"-ს ასოციაციის თავმჯდომარე
**მარინე მღებრიშვილი**

2022 წელი წარმატებული იყო „საზოგადოება ბილიკისთვის": „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში" გავხსენით რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა, შიდა ქართლის მასშტაბით 56 სკოლასთან დავიწყეთ თანამშრომლობა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, „საზოგადოება ბილიკის", ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადრა-საქართველოსა და პოლონეთის დახმარების თანამშრომლობით კი მალე ხაშურში **„ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი"** გაიხსნება.

„საზოგადოება ბილიკი" ვითარდება ყოველდღიურად, ჩვენს ბენეფიციარებსა და სამიზნე ჯგუფებს ვთავაზობთ ახალ სერვისებს.

ორგანიზაცია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე და თანამშრომლების პროფესიულ ზრდაზე. ამ ეტაპზე ჩვენთან დასაქმებულია 64 თანამშრომელი, თუმცა მუდმივად ვზრუნავთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზებაზე. შესაბამისად, ვავითარებთ პროგრამებს, თანამშრომლობას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„საზოგადოება ბილიკი" მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა ერთობლივი მუშაობით ვუპასუხოთ ადგილობრივი თემის საჭიროებებს.

ამ წლების განმავლობაში მოხდა „საზოგადოება ბილიკის" თანამშრომლობა სხვადასხვა პარტნიორებთან, ვართ მნიშვნელოვანი კოალიციებისა და ქსელების წევრები, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

**„საზოგადოება ბილიკი" პროგრამების: ბავშვზე ზრუნვის პროგრამა, სამოქალაქო განათლების პროგრამა, თემის განვითარების პროგრამა, მოხალისეობის პროგრამა - 2022 წლის განმავლობაში მოემსახურა 3648 ბენეფიციარს.**

# ბავშვზე ზრუნვის პროგრამა

**ჩვენ ვქმნით ოჯახურ გარემოს მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, რომელთა ზრუნვის სხვა ალტერნატიულ ფორმაში (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება/ცხოვრება, მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა) განთავსება მოცემული მომენტისათვის ვერ ხერხდება. აგრეთვე ვქმნით ალტერნატიული განვითარების სერვისებს იმ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, რომელთა ოჯახებს სჭირდებათ თანადგომა, რადგან დღის მანძილზე ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის მზრუნველობას.**



## პროგრამის მიზნები

1. ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება
2. მომსახურები/სერვისების გაუმჯობესება
3. თანამშრომელთა შესაძლებლობების ზრდა

## სტატისტიკა

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ბენეფიციართა საერთო რაოდენობა | 350 | 431 |
| თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 40 | 45 |

# დღის ცენტრები „ბილიკი“ და „სხივი“





**პროექტის მიზანი:** 6-18 წლამდე მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური, სოციალური და საბაზო მხარდაჭერა;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** 6-18 წლამდე მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ქულას;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** ორი დღის ცენტრი ემსახურება 60 ბავშვს;

**მიღწეული შედეგები:**

1. წლის განმავლობაში ბავშვებისთვის განხორციელდა არაერთი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება: ასფალტზე ხატვა, ჩრდილების თეატრი, ექსკურსია, ლაშქრობა, ხატვის, კულინარიის, ხელგარჯილობის გაკვეთილები. ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს საზაფხულო ბანაკში ქობულეთში.
2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დღის ცენტრებში სისტემატურად ეწყობოდა ღონისძიებები.
3. ბავშვები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ტრენინგებსა და შეხვედრებში, სულ გაიმართა 30 ასეთი შეხვედრა.
4. „საზოგადოება ბილიკის“ კვირეულის ფარგლებში დღის ცენტრის ბენეფიციარები ესტუმრნენ ქ. თბილისის ზოოლოგიურ და კონტაქტურ ზოოპარკებს.
5. დღის ცენტრის ფსიქოლოგები ბენეფიციარებს სთავაზობდნენ თერაპიული სავარჯიშოებს, რომლებიც ბავშვებს ეხმარებათ ფანტაზიის და წარმოსახვის განვითარებაში, აზრის გადმოცემის, სურათის აღწერის და სხვა უნარების ჩამოყალიბებაში.
6. დღის ცენტრის ფსიქოლოგები რეგულარულად ატარებდნენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს ბავშვებთან, განმავითარებელი სავარჯიშოების და ფსიქოტექნიკების გამოყენებით. აღნიშნული სავარჯიშოები ავითარებს აზროვნებას, ყურადღების კონცენტრაციას, სიტუაციის ანალიზის უნარებს, თვით პრეზენტაციის უნარს, ნატიფ მოტორიკას, ლოგიკურ აზროვნებას, სტრატეგიულ აზროვნებას, თანმიმდევრული დაგეგმვის უნარს და სხვა.

**ფინანსური მხარდაჭერა:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გორის მუნიციპალიტეტის მერია.





**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

1. ს.ჩ. დღის ცენტრში ჩარიცხვის დღიდან საჭიროებს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ მუშაობას, ბავშვი გამოირჩეოდა არასტაბილური ემოციური მდგომარეობით, ხასიათის ხშირი ცვალებადობით, დაბალი თვითშეფასებით. მასთან რეგულარულად მუშაობს პედაგოგი, რომელიც ეხმარება გაკვეთილების მომზადებაში, აკადემიური უნარების გაუმჯობესებაში. ბავშვს უჭირდა კითხვა, ავიწყდებოდა ასო-ბგერები, მუდმივად უარს ამბობდა სახლში დედასთან ერთად მეცადინეობაზე, ტიროდა. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, დედა იძულებული ხდებოდა დაენებებინა მეცადინეობისთვის თავი, ოღონდ ბავშვს არ ენერვიულა. პედაგოგის და ფსიქოლოგის ერთობლივი ჩართულობით ს. ჩ.-ს მოემატა თავდაჯერებულობა, უარს აღარ ამბობს საშინაო დავალებების შესრულებაზე, უარს არ ამბობს დედასთან ერთად მეცადინეობაზე. დღის ცენტრში კი ცდილობს დამოუკიდებლად შეასრულოს დავალებები. აქტიურად არის ჩართული ფსიქოლოგთან მუშაობაში, რამაც საგრძნობი შედეგი გვაჩვენა ბავშვის თვითშეფასების და თავდაჯერებულობის თვალსაზრისით. აქამდე თუ უარს ამბობდა აქტივობებში მონაწილეობაზე ან სავარჯიშოების შესრულებაზე წარუმატებლობის შიშის გამო, ახლა ამბობს „ვცდი, თუ არ გამომივა კიდევ ვცდი". შეუძლია ადეკვატურად მიიღოს კრიტიკა და ხელი არ ჩაიქნიოს. აღსანიშნავია მშობლის ჩართულობა და ის ფაქტი, თუ როგორ ითვალისწინებს მშობელი ფსიქოლოგის და პედაგოგის რჩევებს და რეკომენდაციებს.
2. დღის ცენტრის ბენეფიციარი ნ. ს. არის 12 წლის, დაამთავრა მე-4 კლასი, თუმცა კლასის პედაგოგმა მისი დაბალი აკადემიური უნარების და სასკოლო პროგრამაზე მკვეთრად ჩამორჩენის გამო გადაწყვიტა მისი იგივე კლასში დატოვება. დღის ცენტრის პედაგოგი გაესაუბრა სკოლის დირექციასთან და კლასის პედაგოგთან გასაუბრება, რომ დღის ცენტრში დავეხმარებოდით და შევასწავლიდით წერა-კითხვას და ანგარიშს საბაზისო დონეზე, ამის შემდეგ ბიჭს დღის ცენტრში უტარდებოდა გახანგრძლივებული ინდივიდუალური მეცადინეობა, რის შემდგომაც ბიჭი გადავიდა მომდევნო კლასში.
3. დღის ცენტრების „ბილიკისა" და „სხივის" ბენეფიციარების მიერ შესრულებული 11 ნახატი გაიგზავნა პარიზში, ლუვრის ბავშვთა ნახატების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად თემაზე “One World, One Future”.

# „მცირე საოჯახო სახლები“

**პროექტის მიზანი:** მცირე საოჯახო სახლები განკუთვნილია სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 6-18 წლამდე ბავშვებისთვის, მომსახურების მიზანია ბავშვზე ზრუნვა და ალტერნატიული ფორმების განვითარება. მომსახურება არის 24 საათიანი;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 6-18 წლამდე ბავშვები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 30 ბენეფიციარი იღებს მომსახურებას 3 მცირე საოჯახო სახლში (გორი-1 სახლი, ხაშური-2 სახლი);

**მიღწეული შედეგები:**

1. მცირე საოჯახო სახლებში სისტემატურად მიმდინარეობდა ინდივიდუალური მუშაობა როგორც პირადი აღმზრდელის, ასევე ლიდერისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგის ჩართულობით;
2. მცირე საოჯახო სახლების შინაგანაწესის შესაბამისად ყოველკვირეულად იმართებოდა სამუშაო შეხვედრები თანამშრომლებსა და ბავშვებს შორის, ასევე აქტიური თანამშრომლობა გვქონდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და ზრუნვის სააგენტოსთან;
3. პარტნიორმა ორგანიზაციამ „ახალი სხივები” მცირე საოჯახო სახლებს მიაწოდა ფსიქოთერაპიული მომსახურება, გარდა ამისა სხვადასხვა ტრენინგებით გააძლიერა გუნდი: 15-მა თანამშრომელმა გაიარა 10-მდე ტრენინგი. ფსიქო-თერაპიული მომსახურება მიეწოდა მცირე საოჯახო სახლის 5 ბენეფიციარს;
4. მცირე საოჯახო სახლების 30-მა ბენეფიციარმა 2 კვირის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის საზაფხულო ბანაკში;
5. ბენეფიციარები წლის განმავლობაში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში: სპორტულ, კულინარიის, ქარგვის, ხატვის, ჭადრაკის წრეებში;
6. 2022 წლის განმავლობაში 1 ბენეფიციარი ჩაირიცხა კოლეჯ „განთიადში”, სადაც დაეუფლება სტილისტის პროფესიას.
7. 5-მა ბავშვმა გაიარა ონლაინ ტრენინგ-კურსი შემდეგ საკითხებზე: ვებ დიზაინი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი;
8. მცირე საოჯახო სახლის 4 ბენეფიციარი დასაქმდა სხვადასხვა მიმართულებით, რაც მათი დამოუკიდებული ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**ფინანსური მხარდაჭერა:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ლიბერთი ბანკი.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

1. მცირე საოჯახო სახლში მცხოვრები გოგონა, ნ.ა., რომელიც რამდენიმე წელი თამაშობდა ფეხბურთს, გადავიდა ხაშურის „ივერიის" ქალთა გუნდში, ის არის წარმატებული მოთამაშე და აქვს სტიპენდია. ახლახან, ნ.ა. აიყვანეს 18 წლამდე საქართველოს გოგონათა ნაკრებში და უახლოეს მომავალში გააგრძელებს თამაშს ეროვნულ დონეზე.
2. მცირე საოჯახო სახლში მცხოვრები, ბ.გ. იყო აბიტურიენტი, მოვამზადეთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის კერძო რეპეტიტორებთან, რის შედეგადაც გახდა სტუდენტი და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სწავლობს უფასოდ. საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და ჩაერთო 18 + პროგრამაში. ეს არის ერთ-ერთი წარმატებული შემთხვევა ჩვენთვის.





# „დედათა და ბავშვთა თავშესაფარი“

**პროექტის მიზანი:** მიტოვების, რისკის, ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი 12 წლამდე ბავშვები იღებენ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ მომსახურებას და მხარდაჭერას, რომ განივითარონ უნარები. მომსახურება არის 24 საათიანი;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** მიტოვების, რისკის და ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი12 წლამდე ბავშვები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 10;

**მიღწეული შედეგები:**

1. მთელი წლის განმავლობაში ბენეფიციარებთან მუშაობაში ჩართულები იყვნენ დიასახლისები, თავშესაფრის ლიდერი და ორგანიზაციის ფსიქოლოგი;
2. იმართებოდა ყოველკვირეული გუნდური შეხვედრები, ბენეფიციარებს ხელი ეწყობოდა სოციალიზაციაში, მშობლის უნარების გაძლიერებაში და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში მომსახურების დატოვების შემდეგ;
3. „საზოგადოება ბილიკს” ურთიერთობა ჰქონდა არაერთ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან: სხვადასხვა ქალაქის მერიის წარმომადგენელებთან საცხოვრებლით ბინის ქირის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;
4. ხაშურის საკრებულოს თანამშრომლები თავშესაფრის ბენეფიციარ ბავშვებს და დედებს დაბადების დღეებზე უწყობდნენ სადღესასწაულო ღონისძიებებს;
5. დასაქმდა ერთი ბენეფიციარი;

**ფინანსური მხარდაჭერა:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები”**

ნ. ც. დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოხვდა ქ. გორის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრიდან. ჩვენთან ყოფნის პერიოდში ნ. ც-ს შვილებს ჩვენი მხარდაჭერით დაენიშნათ მამის მხრიდან ალიმენტი (გაუჩნდათ საარსებო მინიმუმი). ბავშვები დარეგისტრირდნენ საბავშვო ბაღში და ჩართულები იყვნენ ყველა საბავშვო აქტივობაში.

დედა ნ.ც. დასაქმდა პურის ქარხანაში. წალენჯიხის მერიამ ჩვენი წერილის საფუძველზე მას გამოუყო ფულადი, ერთჯერადი დახმარება. ამ ყველაფრის ერთობლიობით ნ. ც-მ შეძლო ექირავებინა ბინა ქ. ფოთში და გადასულიყო შვილებთან ერთად საცხოვრებლად. ასევე, მისი თანადგომის ქსელში გააქტიურდა ბიოლოგიური დედა, რომელიც ნ. ც-სთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად.









„საზოგადოება ბილიკის" ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი

# 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების ადრეული ინტერვენცია



**მომსახურების მიზანი:** 0-7 წლამდე განვითარების დარღვევის ან განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვის, რუტინაზე დაფუძნებული მიდგომით, ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში - სახლში, ბაღში, ცენტრში ან ნებისმიერ სხვა გარემოში ინტერვენცია;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები;

**ბენეფიციარების რაოდენობა**: მომსახურებაში ჩართულია 150 ბავშვი;

**მიღწეული შედეგები:**

1. წლის განმავლობაში მომსახურება მიეწოდა შიდა ქართლის მასშტაბით 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების, ან ასეთი რისკის მქონე ბენეფიციარებს;
2. პროგრამიდან გამომდინარე სპეციალისტები ახორციელებდნენ ოჯახში ვიზიტებს, ასევე სისტემატურად ტარდებოდა ჯგუფური სესიები ბავშვებთან;
3. 10-მდე ბავშვის ტრანზიცია განხორციელდა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
4. 80-მდე ბავშვს ხელი შეეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცესში;
5. რეგულარული მუშაობა მიმდინარეობდა მშობლებთან მათი გაძლიერების მიზნით;
6. ორგანიზაცია ზრუნავს თანამშრომლების მუდმივ განვითარებაზე და მათთვის საჭირო ტრენინგების შეთავაზებაზე;
7. სუპერვიზიის ფარგლებში ხორცილდებოდა სპეციალისტების კვალიფიკაციის და ცოდნის გაუმჯობესება და შესაბამისი სუპერვიზია.

8. ადრეული განვითარების პროგრამის ფსიქოლოგი და სუპერვაიზერი EASPD-ის სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელში, ორგანიზაციაში Beit Issie Shapiro. სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების მიმწოდებე-ლთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებას;
9. „საზოგადოება ბილიკმა" წამოიწყო წინა საახალწლო კამპანია #სიკეთისდღესასწაული, რაც გულისხმობდა „საზოგადოება ბილიკის" მცირე საოჯახო სახლების, „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის", ,დღის ცენტრების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრისთვის დახმარების გაწევას. აღნიშნულ წამოწყებას გამოეხმაურა რამდენიმე ბიზნეს ოპერატორი და ფიზიკური პირი. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში „ბავშვთა და მოზარდთა განვითა-რების" ცენტრს გადაეცა სხვადასხვა ინვენტარი: სარეაბილიტაციო ზურგის და მუცლის მასაჟორი, საბავშვო კარავი, სენსორული მუსიკალური მოწყობილობა, კედლის საათები, ბურთი და სხვა სათამაშოები;

**ფინანსური მხარდაჭერა:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გორის მუნიციპალიტეტის მერია, ადრა-საქართველო, პოლონეთის დახმარება.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პროგრამაში გ.ჭ. ჩართული იყო 2018 წლიდან. პროგრამაში ჩართვის მომენტში ბავშვი იყო 2 წლის და 7 თვის. ბავშვის საჭიროებები ძირითადად მოიცავდა სირთულეებს ექსპრესიული მეტყველების და კოგნიტური სფეროს განვითარებაში. ბავშვი პროგრამაში ჩართული იყო 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში ბავშვთან და ოჯახთან მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ბინაზე, ასევე ცენტრში ჯგუფური აქტივობების ფორმით. გ.ჭ-ს დედა აქტიურად მონაწილეობდა ინტერვენციის პროცესში - როგორც შეფასების, ასევე გეგმის შედგენის და რა თქმა უნდა ინტერვენციის განხორციელებისას.

მუშაობის შედეგად დედა საკმაოდ კარგად გაერკვა საკუთარი შვილის საჭიროებებში, ძლიერ მხარეებში და გ. ჭ-ს პროგრამიდან გასვლის ეტაპზე, დედას ზუსტად აქვს ჩამოყალიბებული თუ როგორ უნდა გააგრძელოს ბავშვთან მუშაობა და რა აქტივობები შეუწყობს ხელს მისი შვილის განვითარებას.

მუშაობის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბავშვის ტრანზიცია სკოლაში. ამ მიზნით შედგა ტრანზაციის გეგმა, რომლის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთნენ გ.ჭ-ს მომავალი მასწავლებელი, მშობელი და სპეციალისტი. ტრანზაციის პროცესთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა ბავშვის წინა სასკოლო მომზადება (ნატიფი მოტორული, კოგნიტური, სოციალურ-კომუნიკაციური , სოციალური უნარების და ემოციურ- ნებელობითი სფეროს მიმართულებით).

ამ ეტაპზე გ.ჭ. არის გორის N5 საჯარო სკოლის პირველი კლასის წარმატებული მოსწავლე. სწავლობს კითხვას, განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს მათემატიკის მიმართ. დადის ცეკვაზე და თეატრალურ წრეზე.

# 0-18 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაცია-აბილიტაცია



**მომსახურების მიზანი:** ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება; ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება; ზოგადი ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური განვითარების პროცესის ხელშეწყობა;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წელი;

**სამიზნე ჯგუფი:** 0-18 წლამდე ბავშვები და მოზარდები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** მომსახურებაში ჩართულია 30 ბავშვი;

**მიღწეული შედეგები:**

1. პროგრამა გახდა ბევრად მოქნილი და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული, კერძოდ, თუ აქამდე სტანდარტულად ვთავაზობდით სესიების რაოდენობას სპეციალისტების მიხედვით, ახლა მშობელი და მულტიდისციპლინალური გუნდი ერთად იღებს გადაწყვეტილებას სესიების პროფილზე და რაოდენობაზე.
2. ინტერდისციპლინარული გუნდი დაკომპლექტებულია შემდეგი სპეციალისტებით: 2 ექიმ-რეაბილიტოლოგი, 2 ფსიქოლოგი, ფიზიკური თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ნევროლოგი.
3. დაგეგმილია ბენეფიციარების საჭიროებებიდან გამომდინარე გუნდში სპეც. პედაგოგისა და ქცევის თერაპევტის დამატება მომავალი წლიდან.

**ფინანსური მხარდაჭერა:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ადრა-საქართველო, პოლონეთის დახმარება.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

„საზოგადოება ბილიკი", ადრა-საქართველოს და „პოლონეთის დახმარების" მხარდაჭერით 2022 წლის აპრილიდან ახორციელებს 0-18 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამას, მომსახურებაში ჩართულია 30 ბავშვი და დასაქმებულია 9 სპეციალისტი, კერძოდ: 2 ექიმ-რეაბილიტოლოგი, 2 მეტყველების თერაპევტი, 1 ფიზიკური თერაპევტი 1 ოკუპაციური თერაპევტი, 2 ფსიქოლოგი, 1 ექიმ- ნევროლოგი.

# 6-18 წლამდე ბავშვთა/მოზარდთა და მშობელთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა



ფსიქოლოგი
ეკატერინე მენაბდიშვილი

**მომსახურების მიზანი:** ბავშვების, მოზარდებისა და ზრდასრულების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** ბავშვები, მშობლები, რომელთაც აქვთ ფსიქოლოგიური მომსახურეობის საჭიროება;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 11;

**მიღწეული შედეგები:**

1. ადამიანებმა შეძლეს მიეღოთ გადაწყვეტილებები და საკუთარი ინიციატივით განეხორციელებინათ მოქმედებები;
2. ბენეფიციარებს ფსიქოლოგი დაეხმარა ქცევის ახალი ფორმების დასწავლაში;
3. ფსიქოლოგის დახმარებით ხელი შეეწყო პიროვნების განვითარებას, დარეგულირდა ემოციური სფერო; ბენეფიციარებმა ისწავლეს ემოციების კონსტრუქციულად გამოხატვა, ემოციური მხარდაჭერა და პიროვნების განცდებისადმი სათანადო ყურადღების დათმობა; მოხდა ბენეფიციართა ცნობიერების გაფართოება, პრობლემისადმი დამოკიდებულების შეცვლა; ასევე პიროვნების პასუხისმგებლობის ზრდა.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

ბენეფიციარ დ-ს ჰქონდა რთული ემოციური მდგომარეობა. ნებისმიერი ემოციის გაჩენისას იწყებდა ტირილს. უჭირდა მშვიდად საუბარი, აღენიშნებოდა რიგი ფსიქოსომატური ჩივილები. არასტაბილური მდგომარეობა ჰქონდა ოჯახსა და სკოლაში.

დედის ინფორმაციით ბიჭი შემსწრე იყო მშობლების კონფლიქტების, რის შემდეგაც ჩაიკეტა, დაეწყო ღამის ენურეზი, ბავშვი ხშირად ამბობდა ტყუილს, ჰქონდა გაორებული ემოციური მდგომარეობა, უნდოდა მამასთან და დედასთანაც ყოფნა, თუმცა ვერ ამბობდა ამას ხმამაღლა.

აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგმა დაიწყო პროექციული მეთოდების გამოყენება პრობლემების იდენტიფიკაციის მიზნით. გამოყენებული იყო არტ თერაპიული მეთოდები, ასევე, ფსიქოლოგი შესაბამის რეკომენდაციებს აძლევდა მშობლებს. ბიჭმა ისწავლა ბრაზის კონსტრუქციული ფორმით გამოხატვა, დედას მიეცა რეკომენდაციები: ძილის წინ 1 საათი სისტემატურად გაატაროს შვილთან დრო, რაც ბიჭისთვის უსაფრთხოების შეგრძნების გარანტიაა. ფსიქოლოგმა მშობელს მისცა თეორიული მასალა ბავშვის განვითარების შესახებ, ასევე რეკომენდაციები.

შედეგად ბიჭს მოეხსნა ღამის ენურეზი, გაიხსნა, თავისუფლად დაიწყო სურვილების გამოხატვა, ასევე უარის თქმა, გახდა ასერტული. ბებიის ინფორმაციით სკოლის მასწავლებელი განსაკუთრებით ამჩნევდა და შესაბამისად აღნიშნავდა მის შეცვლილ ქცევას. ბავშვი საუბრობს მამაზე, მშობლებთან საუბრისას უსვამს მათ კითხვებს. ამ ეტაპზე ბიჭის ფსიქო ემოციური მდგომარეობა სტაბილურია.

# თემის განვითარების პროგრამა

**ჩვენ ვზრდით ადგილობრივი თემის შესაძლებლობებს თემის წევრების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.**

## პროგრამის მიზნები

1. პროგრამის განახლება და გაუმჯობესება.
2. პროგრამებისა და მომსახურების/სერვისების გაფართოება.
3. თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაზრდა.

## სტატისტიკა

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ბენეფიციართა საერთო რაოდენობა | 1000 | 1630 |
| თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 6 | 9 |



# ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS)



**პროექტის მიზანი:** ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწყვლადი მოზარდებისთვის, რომლებიც ეზიარებიან ამერიკულ კულტურას, წეს-ჩვეულებებსა და განივითარებენ ლიდერულ თვისებებს;

**განხორციელების პერიოდი:** 2020-2022; 2022-2024;

**სამიზნე ჯგუფი:** 13-16 წლამდე მოწყვლადი ახალგაზრდები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 51 - 2020-2022 - 25 ახალგაზრდა; 2022-2024 - 26 ახალგაზრდა;

**მიღწეული შედეგები:**

1. ორი წლის განმავლობაში იმართებოდა: ინგლისურის ინტენსიური გაკვეთილები გამამდიდრებელი აქტივობებით;
2. ორი წლის განმავლობაში ორჯერ გაიმართა 5 დღიანი საზაფხულო სკოლა.;
3. აქსესის 1 სტუდენტი ფლექსის პროგრამის გამარჯვებულია და 1 აკადემიურ წელს ატარებს ამერიკაში, როგორც მან განაცხადა აქსესის პროგრამამ დიდი როლი შეიტანა ამ მიზნის მიღწევაში;
4. 1-მა სტუდენტმა მონაწილება მიიღო Erasmus + გაცვლით პროგრამაში „ლიდერობა 2022" და იმყოფებოდა პოლონეთში;
5. 2022 წლის ნოემბრიდან აქსესის ახალმა ჯგუფმა დაიწყო სწავლა, სადაც 26 ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა გაიუმჯობესოს ინგლისურის დონე;

**ფინანსური მხარდაჭერა:** ამერიკული არაკომერციული ორგანიზაცია „პროექტი ჰარმონიის ფილიალი საქართველოში“ (PH International); US Embassy.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები“**
2022 წლის 25 ივლისიდან 8 აგვისტომდე „საზოგადოება ბილიკის“ პროექტის „ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა“ (Access) სტუდენტები: ლუკა მოსიაშვილი, ლიზი ბერიანიძე, დავით რობანიშვილი და რატი ბეგიჯანაშვილი გაცვლითი პროგრამა CELOP Fundamentals of Leadership-ით იმყოფებოდნენ ბოსტონის უნივერსიტეტში.

**ლუკა მოსიაშვილი:** დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის, პირადად გავეცანი ამერიკულ კულტურას, მოსახლეობას, ცხოვრების სტილს, მათ მისწრაფებებსა და ინტერესებს.

გვქონდა შესაძლებლობა რომ ბოსტონის უნივერსიტეტში შეგვესწავლა ლიდერობასთან დაკავშირებული საკითხები. მოვინახულეთ ღირსშესანიშნაობები: ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკა, ჯონ კენედის მუზეუმი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, MIT.

ამ პროგრამამ მოგვცა შესაძლებლობა პრაქტიკაში საკუთარი თვალით გვენახა ის, რასაც ორი წლის განმავლობაში თეორიულად ვსწავლობდით ამერიკული კულტურის შესახებ.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ამერიკის საელჩოს, PH International-სა და „საზოგადოება ბილიკს“ ამ შესაძლებლობისთვის.

**ლიზი ბერიანიძე:** გაცვლითმა პროგრამამ უდიდესი გამოცდილება მომცა. ჩაგვიტარდა ტრენინგები და აქტივობები, რომლებიც უკავშირდებოდა ლიდერობას. ამ აქტივობებმა განამტკიცა, როგორც ჩვენი ლიდერული უნარები, ისე ინგლისური ენა.

ამერიკული კულტურის გაცნობის გარდა, ჩვენ გამოვცადეთ თუ რას ნიშნავს იყო სტუდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიცხოვრეთ საერთო საცხოვრებელში, მოვინახულეთ უამრავი ღირსშესანიშნაობა, დავესწარით ლექციებს, გავსინჯეთ სხვადასხვა კერძი და რაც მთავარია, შევიძინეთ უამრავი მეგობარი.





# ხელგარჯილობის სტუდია





**მიზანი:** ხელნაკეთი ნივთების დამზადება და რეალიზება;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** დღის ცენტრის ბენეფიციარები, ფასიანი მოსწავლეები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 14;

**მიღწეული შედეგები:**

1. თოჯინების დამზადება გამოფენისთვის და გასაყიდად;
2. ფასიანი ჯგუფის მიღება;
3. ბავშვებმა ისწავლეს ჯვარედინი მეთოდით ქარგვა, რასაც იყენებენ აქსესუარების დასამზადებლად;
4. ბავშვებმა ისწავლეს ბისერებით ქარგვის მეთოდები, რასაც იყენებენ სამკაულების დამზადებისას;
5. ბავშვებმა შეისწავლეს მაკრამეს მეთოდით ქსოვა, რითიც ამზადებენ სამაჯურებსა და ფსალმუნებს.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

„საზოგადოება ბილიკში" ვიზიტისას, ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა დაათვალიერა ორგანიზაციაში არსებული ხელგარჯილობის სტუდია, პედაგოგთან და მოსწავლესთან ერთად კი მონაწილეობა მიიღო ხელნაკეთი თოჯინას დამზადებაში.

ლიზა ელჩთან შეხვედრაზე გვიზიარებს თავის ემოციებს:

„ეს იყო დასამახსოვრებელი დღე ჩემს ცხოვარებში, რადგან პირველად შევხდი ამერიკის ელჩს. ჩემთვის საპასუხისმგებლო იყო მისთვის მესწავლებინა ხელნაკეთი თოჯინას დამზადება და ცოტას ვნერვიულობდი კიდეც, თუმცა ელჩი იმდენად იყო ჩართული სამუშაო პროცესში რომ გამიადვილა ამ მისიის შესრულება. ეს დღე არასდროს დამავიწყდება"!

# ტრენინგ ცენტრი: ბავშვები, მშობლები, ახალგაზრდები, ზრდასრულები





**მიზანი:** „საზოგადოება ბილიკის“ ბენეფიციარების, მშობლების, ახალგაზრდების, ზრდასრულების, თანამშრომლების მხარდაჭერა და იმ ტრენინგების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ თვით განვითარებას/რეალიზებას, რათა გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** „საზოგადოება ბილიკის“ ბენეფიციარები, მშობლები, ახალგაზრდები, თანამშრომლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 500;

**მიღწეული შედეგები:**

1. ჩატარდა თანამშრომლების ბენეფიტების კვლევა;
2. ჩატარდა თანამშრომლების საჭიროებების კვლევა;
3. ტრენინგ ცენტრის ფარგლებში თანამშრომლებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგები : მედიასთან ურთიერთობა, როგორ დავწეროთ წარმატების ისტორია, საჯარო გამოსვლის ტექნიკები.
4. „საზოგადოება ბილიკის” სხვადასხვა პროექტების ფარგლებში რეგულარულად ტარდებოდა ტრენინგები ახალგაზრდებისთვის, მათი კომპეტენციებისა და უნარების ამაღლების მიზნით.

# დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში



„საზოგადოება ბილიკი" და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ი, სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „Slovak Aid-ის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებენ ერთობლივ პროექტს „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე".

**მიზანი:**

1. შშმ პირთა საჭიროებების განსაზღვრა და მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;
2. შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად პროექტის ფარგლებში პროფესიული დისკუსიების გამართვა;
3. პროფესიული დისკუსია მხარდაჭერითი დასაქმების სფეროში სლოვაკეთში არსებული გამოცდილების გაზიარებასა და შშმ პირთათვის დასაქმების პირობებისა და სამუშაო გარემოს შექმნის თაობაზე;
4. შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათთან მომუშავე კადრების გადამზადება და მათი პროფესიული უნარების გაძლიერება;
5. შშმ პირთათვის სამუშაო ადგილებზე ადაპტირების პროცესის გაუმჯობესება;
6. დასაქმების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება მუნიციპალურ დონეზე;

**განხორციელების პერიოდი:** 01.10.2021-01.04.2023;

**სამიზნე ჯგუფი:** შიდა ქართლის (გორი, ხაშური), სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ბორჯომი), მცხეთა-მთიანეთის (მცხეთა, დუშეთი) შშმპ თემი, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 400;

**მიღწეული შედეგები:**

1. ახალციხის, გორის, დუშეთისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში შეიქმნა შშმ პირთა მონაცემთა ერთიანი ბაზა;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტმა შშმ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სპეციალური დროებითი კომისია, რომელიც იქნება შუამავალი ადგილობრივ ბიზნეს სექტორსა და შშმ პირებს შორის და შეისწავლის პოტენციურ სამუშაო ადგილებს;
3. მცხეთა-მთიანეთის რეგიონმა სახელმწიფო დასაქმების არსებული პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყო 100-ზე მეტი შშმ პირის დასაქმებას და შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით რეგიონი პირველი ადგილზეა. პროექტის ფარგლებში შშმ პირთა დასაქმება შეძლო ხაშურის, ახალციხისა და გორის მუნიციპალიტეტებმაც.
4. დუშეთისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებმა გაზარდეს შშმ პირთა დაფინანსების პროგრამებზე ბიუჯეტი და შესაბამისად გაფართოვდა პროგრამათა ნუსხა;
5. სამიზნე მუნიციპალიტეტებში გააქტიურდა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოთა საქმიანობა, საბჭომ მუშაობა დაიწყო ახალი ინიციატივების შემუშავებაზე.

**ფინანსური მხარდაჭერა:** სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Slovak Aid), სლოვაკური ორგანიზაცია TENENET.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

ია ქოქაშვილი, დევნილი ახალგორიდან, ცხოვრობს წეროვანის დევნილთა ჩასახლებაში და პირველი შშმ პირია, რომელიც ჩვენი პროექტის მხარდაჭერით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში დასაქმდა. იას, რომელიც თავადაც შშმ პირია, ჰყავს დაუნის სინდრომის მქონე 7 წლის ქალიშვილი. მისთვის საკუთარი თავის რეალიზება და დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენდა უმნიშვნელოვანესი იყო. პროექტის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო.

საბჭოს ჩართულობითა და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიქმნა შშმ პირების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ახალი სოციალური პროგრამები და შშმ პირთა უფლებების დაცვის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა.

საბჭოს საქმიანობის შედეგად დუშეთის მუნიციპალიტეტში დასაქმდა 68 შშმ პირი მაისი-დეკემბრის პერიოდში.





# ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება (LINKS)




**პროექტის მიზანი:** პროექტი მიზნად ისახავს ცოდნისa და უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი პლატფორმების, რესურსებისა და ღონისძიებების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდას ოთხ სამიზნე რეგიონში: აჭარა, გურია, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი;

**განხორციელების პერიოდი:** 01.01.2021- 12.06.2023;

**სამიზნე ჯგუფი:** ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროცესში და არ არიან დასაქმებულები (NEET), საგანმანათლებლო სერვისების მიმწოდებლები ადგილობრივი ახალგაზრდული ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 300 ახალგაზრდა, 5 პროფესიული სასწავლებლის 45 პედაგოგი;

**მიღწეული შედეგები:**

1. ახალგაზრდებმა შეიძინეს დასაქმებისათვის საჭირო უნარები და კომპეტენციები, აიმაღლეს ცოდნა ციფრულ წიგნიერებაში, ინგლისურ ენასა და მეწარმეობაში; ხელი შეეწყო შრომის ბაზრის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, ახალი უნარ-ჩვევების განვითარების მხარდაჭერას, რომლებიც სჭირდებათ სამუშაოს დასაწყებად და შემდგომი კარიერული განვითარების ხელშესაწყობად;
2. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 4 ინოვაციური ბიზნეს იდეა;
3. ანაზღაურებად სტაჟირების პროგრამა გაიარა 20-მა ახალგაზრდამ;

**ფინანსური მხარდაჭერა:** ევროკავშირი, საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF).



თათია ილურიძე

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

„Links-ის პროექტის ფარგლებში გავიარე ტრენინგ კურსები: „ძირითადი კომპეტენციებისა და სამუშაოსათვის მზაობა", „კომპიუტერული უნარ-ჩვევები". კურსების გავლის შემდეგ დავიწყე სტაჟირება სკოლაში, მასწავლებლის პოზიციაზე, რითიც საშუალება მომეცა ჩემი უნარ-ჩვევები პრაქტიკაში გამომეყენებინა და ჩემი ცოდნა გამეზიარებინა მოსწავლეებისთვის.

ახლა უკვე, აქტიური მუშაობის შემდეგ, სკოლაში მყავს საკუთარი სადამრიგებლო კლასები, რაც დიდი სიხარულისა და სტიმულის მომცემია ჩემთვის. მომავალში ვგეგმავ, სტატუსის ამაღლებას და საგნის გამოცდის ჩაბარებას.

იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი პროექტები კვლავ დაინერგება და გაგრძელდება საქართველოში, რამეთუ პროგრამის მიზანია დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს სამუშაო ადგილების მოძიებაში, პროფესიული თუ უწყვეტი განათლების მიღებასა და დასაქმებაში".

# შიდა ქართლის რეგიონული ჰაბი



**პროექტის მიზანი:** გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი ქვეყნის მასშტაბით;

**განხორციელების პერიოდი:** 12.07.2021 - 30.11.2024.;

**სამიზნე ჯგუფი:** რეგიონის დამწყები და გამოცდილი CSO/CBO, ახალგაზრდები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 200;

**მიღწეული შედეგები:**

1. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა და მუშაობს ახალგაზრდული კლუბი;
2. ჩატარდა რეგიონული ფორუმი ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისათვის;
3. მოხდა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა;
4. შეიქმნა და ფუნქციონირებს გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო;
5. მიმდინარეობს სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა;
6. შეიქმნა ხაშურის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.

**ფინანსური მხარდაჭერა:** ევროკავშირი, კონრად-ადენაუერის ფონდი.



2022 წლის 8 ივლისს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი „საზოგადოება ბილიკის“ ასოციაციის თავმჯდომარე - მარინე მღებრიშვილმა, გორის მუნიციპალიტეტის მერმა - ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა - ნათია ნამიჭეიშვილმა და ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე - გიორგი ტალახაძემ.

მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს განვითარებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ახალგაზრდულ საკითხებზე თანამშრომლობის გაზრდას, ადგილობრივ ახალგაზრდებთან კომუნიკაციისთვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებასა და დანერგვას.

## Illuminating New Solutions and Programmatic Innovations for Resilient Spaces (INSPIRES)



**პროექტის მიზანი:** ხელი შეუწყოს ორგანიზაციის განვითარებას, მის მეგედობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას თანამშრომლებისა და მოქალაქეების წინაშე;

**განხორციელების პერიოდი:** აპრილი-ნოემბერი, 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** „საზოგადოება ბილიკის" თანამშრომლები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 30;

**მიღწეული შედეგები:**

1. განახლდა „საზოგადოება ბილიკის" ლოგო, დაემატა სლოგანი;
2. განახლდა და ამუშავდა ვებ გვერდი;
3. განახლდა საბუღალტრო პროგრამა ორისი;
4. შეიქმნა გარე კომუნიკაციის სახელმძღვანელო;
5. გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან და მათ ფინანსურ მენეჯერებთან სამუშაო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
6. ორგანიზაციის 2022 წლის ანგარიში იქნება ციფრული.

**ფინანსური მხარდაჭერა:** USAID.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**
2016 წლის შემდეგ „საზოგადოება ბილიკის" ვებ გვერდი www.biliki.ge არ ფუნქციონირებდა, პროექტის მხარდაჭერით განახლდა ინფორმაცია ვებ გვერდზე და მასზე რეგულარულად ხდება სიახლეების გაზიარება.



# როზმარის ხსოვნას



**პროექტის მიზანი:** ორგანიზაციის მხარდაჭერა;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** „საზოგადოება ბილიკის" დღის ცენტრებისა და მცირე საოჯახო სახლების ბენეფიციარები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 90;

**მიღწეული შედეგები:**

1. გაუმჯობესდა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც აისახა მომსახურების ხარისხზე და ბენეფიციარების მდგომარეობაზე;
2. ორ დღის ცენტრში მოწესრიგდა ფიზიკური გარემო და გათბობის სისტემა;
3. დღის ცენტრებსა (სერვისის იღებს 60 ბავშვი) და მცირე საოჯახო სახლების მომსახურებებისთვის (სერვისს იღებს 30 ბავშვი) შევიძინეთ კომპიუტერული ტექნიკა, ტანსაცმელი და ბავშვების განვითარებისთვის საჭირო სათამაშოები;

**ფინანსური მხარდაჭერა:** McCabe Pilgrimages.



**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**
„საზოგადოება ბილიკის" ასოციაციის თავმჯდომარე მარიკა მღებრიშვილი როზმარი ნატის და Mc-Cabe Pilgrimages შესახებ მოგვითხრობს:

„ჩემი და „საზოგადოება ბილიკის" მეგობარი როზმარი ნატი, ბრიტანეთის მოქალაქე, ქრისტიანი, ტურისტული კომპანია „ინტურისტის" დახმარებით გავიცანი 2001 წელს. როზმარი წარმოადგენდა McCabe Pilgrimages, რომელსაც ბრიტანელი პილიგრიმები ჩამოჰყავდა საქართველოში ჩვენი კულტურის, რელიგიისა და ისტორიის გასაცნობად, თუმცა მანამდე ჩვენმა საქმიანობამ დაგვაახლოვა ერთმანეთს და პერიოდულად როზმარი თავისი პილიგრიმელი მეგობრების ორგანიზებით გვეხმარებოდა ყველაზე რთულ პერიოდში გადაგვერჩინა ჩვენი მომსახურებები ბავშვებისთვის.

წლების განმავლობაში, ინგლისელი პილიგრიმები გაზაფხულზე ჩამოდიოდნენ საქართველოში ვიზიტით  და ყოველთვის გვსტუმრობდნენ „საზოგადოება ბილიკის" ოფისში. ისინი ეცნობოდნენ ჩვენი ორგანიზაციის ისტორიას, საქმიანობას, ჩვენ კი მათთვის ყოველწლიურად ვაკეთებდით ბავშვების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენას, ხოლო გაყიდული პროდუქციის თანხით ისევ ვყიდულობდით დამხმარე მასალებს.

სამწუხაროდ, პანდემიამ გააჩერა ეს პროცესი და წინა წელს, მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი როზმარი ნატი.

„როზმარის ხსოვნას", ასე დავარქვით პროექტს, რომლის ინიციატივა ეკუთვნოდათ როზმარის მეგობრებს ბრიტანეთიდან. როზმარის სახელით უკვე ისინი დაეხმარნენ ჩვენს ორგანიზაციას და მათი მხარდაჭერით შევძელით დაგვეფარა ის საჭიროებები, რაც ყოველდღიურად ორგანიზაციას და ჩვენს ბენეფიციარებს ჰქონდათ: გაუმჯობესდა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც აისახა მომსახურების ხარისხზე და ბენეფიციარების მდგომარეობაზე. ორ დღის  ცენტრში მოწესრიგდა ფიზიკური გარემო და გათბობის სისტემა. დღის ცენტრებსა (სერვისის იღებს 60 ბავშვი) და მცირე საოჯახო სახლების მომსახურებებისთვის (სერვისს იღებს 30 ბავშვი) შევიძინეთ კომპიუტერული ტექნიკა, ტანსაცმელი და ბავშვების განვითარებისთვის საჭირო სათამაშოები.

ჩვენ გვახსოვს ჩვენი როზმარი, ჩვენ გვახსოვს McCabe Pilgrimages და მინდა მადლობა გადავუხადო მათ იმ ღვაწლისთვის, რაც ორგანიზაციის დასახმარებლად გაიღეს".

# სამოქალაქო განათლების პროგრამა

ჩვენ ვზრდით სამოქალაქო ცნობიერებას მოზარდებში და ახალგაზრდებში და ვეხმარებით მათ ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად სამოქალაქო განათლების და კლუბების გზით, რომელსაც ვაწვდით მასწავლებლებს და მოსწავლეებს.

## პროგრამის მიზნები

1. პროგრამის განახლება და გაუმჯობესება
2. პროგრამებისა და მომსახურების/სერვისების გაფართოება
3. თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაზრდა

## სტატისტიკა

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ბენეფიციართა საერთო რაოდენობა | 0 | შიდა ქართლის 56 სკოლა, 1550 მოსწავლე |
| თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 0 | 5 |



# USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა






- ✔ სასკოლო სამოქალაქო კლუბები
- ✔ სასკოლო თვითმმართველობის განვითარება
- ✔ მცირე გრანტები და ინიციატივები
- ✔ სასკოლო თემის თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნესთან
- ✔ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სამოქალაქო ინიციატივებისთვის
- ✔ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ხელშეწყობა

**პროექტის მიზანი:** მოსწავლეთა თვითმმართველობების, კერძო სექტორის ჩართულობის გაძლიერება სკოლებში; მოსწავლეთა მხარდაჭერა დემოკრატიული ჩართულობის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებისათვის.

**განხორციელების პერიოდი:** 19.04.2022-28.02.2027;

**სამიზნე ჯგუფი:** შიდა ქართლის 56 სკოლა;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 1550 მოსწავლე;

**მიღწეული შედეგები:**

1. პროგრამის პარტნიორი შიდა ქართლის 56 სკოლის თვითმმართველობისა და სამოქალაქო კლუბის პროექტები მხარდაჭერილია;
2. დაფინანსდა 9 მცირე საგრანტო პროექტი;
3. მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის მიზნით განხორციელდა გაერთიანებული კამპანიები, მოსწავლეთა თემატური შეხვედრები საინტერესო სტუმრებთან, სასწავლო ვიზიტები სხვადასხვა უწყებებში.

**ფინანსური მხარდაჭერა:** USAID, PH International.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა 2020 წელს დაიწყეს პროექტი „სიკეთე სიკეთისთვის", რომელიც დღესაც გრძელდება. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და მშობლების დახმარებით, მოსწავლეებმა რამდენჯერმე მოაწყეს ხელნაკეთი ნივთებისა და ტკბილეულის გამოფენა-გაყიდვა. შეგროვილი თანხა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ინტერნეტის შეყვანას მოხმარდება.



სამოქალაქო განათლების პედაგოგი მიმოზა ღოლიჯაშვილი გვიყვება, რომ ინტერნეტის შეყვანისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოები უკვე დაწყებულია 8 ოჯახში, სადაც, საერთო ჯამში, 18 სკოლის მოსწავლე ცხოვრობს.





# მოხალისეობის პროგრამა

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოხალისეობის კულტურის განვითარებას ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებში.

## პროგრამის მიზნები

1. პროგრამის ხარისხის გაზრდა
2. მეტი შესაძლებლობები ახალგაზრდებს პროგრამის საშუალებით
3. მოხალისეობის პროგრამის რეპუტაციის მშენებლობა

## სტატისტიკა

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ბენეფიციართა საერთო რაოდენობა | 24 | 37 |
| თანამშრომელთა საერთო რაოდენობა | 10 | 10 |

# მოხალისეობა ადგილობრივ დონეზე

**პროექტის მიზანი:** მოხალისეობის განვითარება ადგილობრივ დონეზე;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**მოხალისეების რაოდენობა:** 5;

**მიღწეული შედეგები:**

1. მოხალისეთა მხარდაჭერა;
2. 1 მოხალისე დასაქმდა „საზოგადოება ბილიკში";
3. დღის ცენტრების ბენეფიციარებისთვის არაფორმალური განათლების, გამამდიდრებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.



**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

მარიამ კუთხაშვილი - „საზოგადოება ბილიკის" მოხალისე 2022 წლიდან შეუერთდა ადრეული განვითარების პროგრამის გუნდს „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში". მარიამ კუთხაშვილი გვიყვება რა გზა გაიარა მოხალისეობის პროგრამიდან დასაქმებამდე:

„მე ვარ მარიამ კუთხაშვილი 25 წლის, დავამთავრე გორის სახელმწიფო უნივერისტეტი, ფსიქოლოგიის ფაკულტეტი;

უნივერსიტეტიდან გავიგე „საზოგადოება ბილიკის" მოხალისეობრივი პროგრამის შესახებ, დავინტერესდი, დავრეგისტრირდი, გავიარე გასაუბრება და გავხდი ფსიქოლოგიური სამსახურის მო ხალისე.

მოხალისეობრივი პროგრამა დიდ შესაძლებლობებს აძლევს ახალგაზრდებს, ხელს უწყობს მათი უნარების განვითარებას, ზრდის პროფესიული თვალსაზრისით, უყალიბებს და აკეთებინებს არჩევანს თუ რომელი სფერო უფრო პრიორიტეტულია მისთვის, ასწავლის საკუთარი ცოდნის გამოყენებას და ურთიერთობებს, აუმჯობესებს კომუნიკაციის უნარს და როდესაც დამოუკიდებლად ჩაებმები სამსახურში, გრძნობ, რომ დაბრკოლებები და გამოწვევები აღარ გაშინებს.

მოხალისეობრივი პროგრამის დამთავრების შემდეგ, მომეცა შესაძლებლობა გავმხდარიყავი „ბილიკის" გუნდის წევრი და დავსაქმდი „საზოგადოება ბილიკის" ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში, ადრეული განვითარების სპეციალისტის პოზიციაზე.

ვფიქრობ, რომ მოხალისეობის პროგრამა არის შესაძლებლობა აკეთო ის საქმე რაც მოგწონს, განვითარდე როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად, მიიღო გამოცდილება და შენი სამომავლო საქმიანობა სწორად წარმართო.

# ვირტუალური სერვისის საპილოტე პროგრამა (VIRTUAL SERVICE PILOT PROGRAM)




**პროექტის მიზანი:** სოციალური საწარმოს ბიზნეს გეგმის შემუშავების მხარდაჭერა;

**განხორციელების პერიოდი:** 10.10.2022-6.02.2023;

**მიღწეული შედეგები:**

1. შეიქმნა ბიზნეს გეგმის დოკუმენტი;
2. შეიქმნა ბიუჯეტის სავარაუდო განაწილება თვეების მიხედვით;
3. შეიქმნა ევროპის ფონდის საპროექტო განაცხადის წინასწარი ფორმა;

**პარტნიორი:** მშვიდობის კორპუსი.

**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

„საზოგადოება ბილიკი"-ს პროექტი მიზნად ისახავდა სოციალური საწარმოს ბიზნეს გეგმის დოკუმენტის შექმნას. ორგანიზაციას წარსულში ჰქონდა სოციალური საწარმოს პროექტი, მაგრამ წარუმატებელი იყო, რადგან არ გვქონდა ბიზნეს გეგმა და გამოცდილება თუ როგორ გვემართა სოციალური საწარმო. გვჭირდებოდა პროფესიონალი, კვალიფიცირებული ადამიანის დახმარება და მშვიდობის კორპუსი დაგვეხმარა ჯო კემპბელის პოვნაში. 4 თვის მუშაობის შედეგად, ჯოს დახმარებით მივაღწიეთ პროექტით გათვალისწინებულ მიზანს, ბიზნეს გეგმის დოკუმენტის გარდა, შეიქმნა ბიუჯეტის სავარაუდო განაწილება თვეების მიხედვით და ასევე ევროპის ფონდის საპროექტო განაცხადის წინასწარი ფორმა, სადაც ჩვენი საპროექტო იდეაა წარმოდგენილი.

# სტაჟირება



**მიზანი:** ახალგაზრდების პროფესიული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** ახალგაზრდები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 25;

**მიღწეული შედეგები:**

1. ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 24-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 4 შშმ პირი.
2. 3 ახალგაზრდა უკვე დასაქმდა და 7 დასაქმდება უახლოეს მომავალში.



**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

022 წლის განმავლობაში „საზოგადოება ბილიკს" **LINKS პროექტისა და რეგიონული ჰაბის ფარგლებში** ჰყავდა 24 ანაზღაურებადი სტაჟიორი, რომლებიც „ბილიკის" დახმარებით გადანაწილებულნი იყვნენ ორგანიზაციებსა და სხვადასხვა სექტორში.

სტაჟირების დაწყებამდე „საზოგადოება ბილიკმა" ხელშეკრულებები გააფორმა მიმღებ ორგანიზაციებთან და სტაჟიორებთან.

„საზოგადოება ბილიკი" ეხმარება სტაჟიორებსა და მიმღებ ორგანიზაციებს ერთმანეთთან დაკავშირებაში. სტაჟიორებს აქვთ შესაძლებლობა სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა პოზიციებზე ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა: EECMD, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა, სკოლა „თამარიონი", გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიქალ ცენტრი, ხაშურის სოციალური მომსახურების სააგენტო, საწარმო „ლიდერი" და სხვა.

# სასწავლო პრაქტიკა




**მიზანი:** პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წელი;

**სამიზნე ჯგუფი:** სტუდენტები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 7;

**მიღწეული შედეგები:**

1. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6-მა და ჩეხეთის კარიტასის კოლეჯის 1-მა სტუდენტმა სასწავლო პრაქტიკა გაიარეს „საზოგადოება ბილიკში".;
2. პრაქტიკანტებმა მიიღეს ინფორმაცია ორგანიზაციის მუშაობის ძირითად მიმართულებებზე; გაიგეს თუ რა არის ფსიქოლოგიური სამსახურის როლი ორგანიზაციაში; როგორია ბენეფიციარებთან აქტიური მუშაობის ტექნიკები, ასევე მიიღეს ინფორმაცია ფსიქო კონსულტირების ტექნიკებსა და მათთვის საინტერესო საკითხებზე;
3. პარტნიორები: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩეხეთის კარიტასის კოლეჯი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიაუნი.




**„მნიშვნელოვანი მოვლენები”**
ლაურა შობროვა - კარიტასის კოლეჯის სოციალური და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი ჩეხეთიდან. მან სასწავლო პრაქტიკა გაიარა „საზოგადოება ბილიკში“ 2022 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით.

ლაურა რამდენიმე წელია მუშაობს ახალგაზრდებთან და ბავშებთან როგორც ბანაკის ლიდერი და სათხილამურო ინსტრუქტორი. სასწავლო პრაქტიკის კურსის დასაწყისში, კითხვაზე თუ რატომ გადაწყვიტა საქართველოში და „საზოგადოება ბილიკში“ ჩამოსვლა ლაურამ ასე გვიპასუხა:

„ამ სასწავლო წელს გადავწყვიტე, რომ პრაქტიკის კურსი გამევლო „საზოგადოება ბილიკში“. ეს ორგანიზაცია ავირჩიე იმიტომ, რომ მისი მიზნები, პროგრამები და სამიზნე ჯგუფი ძალიან საინტერესოა ჩემთვის, ამას ემატება კარიტასის სტუდენტების შესანიშნავი რეკომენდაციები „საზოგადოება ბილიკის“ მისამართით. ვიმედოვნებ, რომ ეს სამი თვე სასარგებლო იქნება როგორც ჩემთვის, ასევე “ბილიკისთვის“.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ კი ლაურამ ასეთი ემოციები გაგვიზიარა: „უცხოური გამოცდილება ჩემთვის სასარგებლო იყო როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად. მე მქონდა შესაძლებლობა სხვა ქვეყნის სოციალური სისტემა მენახა და შემედარებინა ჩეხურ სისტემას.

„საზოგადოება ბილიკში” გავეცანი სოციალური მუშაობის მიკრო და მაკრო დონეებს, გამოვცადე ჩემი კომპეტენციები ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობისას და მისგან დიდი გამოცდილება მივიღე.

ასევე მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო ჩემთვის კულტურისა და წეს-ჩვეულებების გაცნობა. სასწავლო პრაქტიკამ დიდი შესაძლებლობა მომცა უკეთ გამეცნო საკუთარი თავი და ამან დადებითად იმოქმედა ჩემს პიროვნულ განვითარებაზე.

# გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში „საზოგადოება ბილიკისთვის" დაფინანსებული ერთობლივი პროექტები



# „იდეა აქციე საქმედ"




**მიზანი:** პროექტი „იდეა აქციე საქმედ“ მიზნად ისახავდა არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდების გააქტიურებას და მოსწავლე-ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თემის ცხოვრებაში;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** 14-დან 22 წლამდე ახალგაზრდები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემიდან;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 120;

**მიღწეული შედეგები:**

1. პროექტი მოიცავდა იდეების კონკურსს, ტრენინგებს გუნდურ მუშაობაზე, პროექტების მართვასა და ადვოკატირებაზე;
2. დასკვნით ეტაპზე, ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი გამარჯვებული საპროექტო იდეების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა იდეათონის ღონისძიება, რომელშიც პროექტის ბენეფიციარებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს გორის მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სკოლების წარმომადგენლებმა;
3. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ახალგაზრდებისთვის მოხდა 4 საპროექტო იდეის ფინანსური მხარდაჭერა;
4. ახალგაზრდების მხრიდან მოხდა 4 საპროექტო იდეის განხორციელება.

**ფინანსური მხარდაჭერა:** გორის მუნიციპალიტეტის მერია.

# ბაკურიანის საზაფხულო ბანაკი 2022

საზოგადოება "ბილიკი"
Society Biliki

**საზაფხულო ბანაკი 2022**

**პროექტის მიზანი:** ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** ახალგაზრდები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 200;

**მიღწეული შედეგები:** ტრენინგებსა და არაფორმალურ აქტივობებში 200 ახალგაზრდის ჩართვა;

**ფინანსური მხარდაჭერა:** გორის მუნიციპალიტეტის მერია.





**„მნიშვნელოვანი მოვლენები"**

2022 წლის ზაფხულში, გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით „განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „საზაფხულო ბანაკი 2022" განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში.

ბანაკის პროგრამა მრავალფეროვანი აქტივობებით იყო დატვირთული. ახალგაზრდებს ჩაუტარდათ შემეცნებითი ტრენინგები სხვადასხვა თემების შესახებ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები კულტურულ, სპორტულ და გასართობ აქტივობებში. ბანაკმა, ჯამში კონკურსის წესით შერჩეულ 200 ბენეფიციარს უმასპინძლა, თითოეულ ნაკადზე 50 მონაწილე მიემგზავრებოდა და ბაკურიანში ოთხ სრულ დღეს რჩებოდნენ. პროექტი, ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ, „საზოგადოება ბილიკმა" განახორციელა.

„აღნიშნული პროექტი პირველი პრეცენდენტია გორის მუნიციპალიტეტის ისტორიაში, რომელიც არაფორმალური განათლების ჭრილში ჩატარდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა ბანაკის მონაწილეების მხრიდან. ჩვენ განვიხილეთ გამოწვევები, შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რაც სამომავლოდ ბანაკის კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩატარების შესაძლებლობას მოგვცემს" - განაცხადა განათლების განყოფილების ხელმძღვანელმა ნინო ბერიანიძემ.

# „ხელი-ხელს"



**მიზანი:** ხელი შევუწყოთ გორის მუნიციპალიტეტის 0 დან 7 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის, ან ასეთი რისკის მქონე ადრეული ჩარევის პროექტში ჩართული ბავშვების განვითარების სტიმულირებას, რათა მოხდეს მათი ჩართულობა სკოლამდელ და სასკოლო ცხოვრებაში;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** 0-7 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 80;

**მიღწეული შედეგები:**

1. 2022 წლის თებერვლის თვიდან დეკემბრის თვის ჩათვლით მეტყველების თერაპევტმა იმუშავა 70 ბავშვთან, ფიზიკურმა თერაპევტმა **51** ბავშვთან, ოკუპაციურმა თერაპევტმა კი 52 ბავშვთან. სამივე სპეციალისტის შემთხვევაში ბავშვები მეორდებოდნენ;
2. პროექტით გათვალისწინებული იყო მხოლოდ **40** ბენეფიციარის მომსახურება, თუმცა რეალურად მომსახურება წლის განმავლობაში მიიღო **80-მდე** ბავშვმა. მიმართვიანობის გაზრდის გამო ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება და დამატებით მოემსახურა ზემოთ ხსენებულ ბავშვებს;
3. აღნიშნული პროექტი შესაძლებლობას გვაძლევს ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართულ ბავშვებს და მათ ოჯახებს შევთავაზოთ მათი საჭიროებიდან გამომდინარე **3** სპეციალისტის დამატებითი უფასო მომსახურება, რაშიც იგულისხმება ბავშვთან თერაპიული მუშაობა და მშობლის უნარების გაძლიერება.

**ფინანსური მხარდაჭერა:** გორის მუნიციპალიტეტის მერია.

# „რეკრეაცია ბავშვებისთვის"



**მიზანი:** „საზოგადოება ბილიკის" ბენეფიციარების არაფორმალური განათლების, კულტურული განვითარების და რეკრეაციის ხელშეწყობა საზაფხულო ბანაკის მეშვეობით, მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია პანდემიის პერიოდის შემდეგ სოციალურად დაუცველი ბავშვების სოციალიზაციის მიზნით, მათი გარემოს ცვლილება და დასვენება/რეკრეაცია;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** დღის ცენტრების ბენეფიციარები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 40;

**მიღწეული შედეგები:**

1. დღის ცენტრების 40 ბენეფიციარი 8 დღით იმყოფებოდა საზაფხულო ბანაკში ქობულეთში, სადაც ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის არაფორმალურ აქტივობებში, როგორიცაა ვიქტორინები, თამაშები, სპორტული აქტივობები და სხვა;
2. ბანაკისპერიოდშიბავშვებმამოინახულესქობულეთის ტერიტორიაზე არსებული დენდროლოგიური პარკი, მუსიკოსთა პარკი, დაათვალიერეს „მინიატურული საქართველო", ასევე იმყოფებოდნენ გასართობ პარკ „ციცინათელაში" ატრაქციონებზე.

**ფინანსური მხარდაჭერა:** გორის მუნიციპალიტეტის მერია.

**პროექტის სახელწოდება: „თანადგომა"**

**მიზანი:** „საზოგადოება ბილიკის" დღის ცენტრების ბენეფიციარების ჯანმრთელობის და საბაზისო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხელშეწყობა;

**განხორციელების პერიოდი:** 2022 წ.;

**სამიზნე ჯგუფი:** დღის ცენტრის ბენეფიციარები;

**ბენეფიციარების რაოდენობა:** 60;

**მიღწეული შედეგი:** ორი დღის ცენტრის „ბილიკის" და „სხივის" ბენეფიციარებისთვის საბაზო კვებითი მომსახურეობის მიწოდება, პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ფინანსური მხარდაჭერა: გორის მუნიციპალიტეტის მერია.

# 2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ვიზიტები





**ვიზიტები საზღვარგარეთ**

- ✔ სასწავლო ვიზიტი ისრაელში (EASPD);
- ✔ კონფერენცია მალტაში (EASPD);
- ✔ ვიზიტი აფრიკაში, ტანზანიაში (Resiliency +).

**პარტნიორობა უცხოელ პარტნიორებთან:**

- ✔ EASPD, B&G Clubs, სლოვაკეთი, ჩეხეთი, Peace Corps.
- ✔ ინფორმაციის გაზიარება კონფერენციაზე B&G კლუბების წარმომადგენლებთან თუ როგორ ვმუშაობთ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან.



# კაროლინა მიკოვას ვიზიტი




„საზოგადოება ბილიკს“ INSPIRES (Illuminating New Solutions and Programmatic Innovations for Resilient Spaces) პროექტის ფარგლებში, PDCS-ის დირექტორი, კაროლინკა მიკოვა, „პარტნიორობა საქართველოსთვის” აღმასრულებელი დირექტორი ნათია გოფოძე და პროგრამის მენეჯერი მილენა მითაგვარია ესტუმრნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს პროექტის განხორციელებული აქტივობების და სამომავლო გეგმების შესახებ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: შეიქმნა გარე კომუნიკაციის სახელმძღვანელო; განახლდა „საზოგადოება ბილიკის“ ვებ გვერდი; განახლდა ორისის სისტემა; დიზაინერის მიერ განახლდა ორგანიზაციის ლოგო და შეიქმნა წლიური ანგარიშის შაბლონი.

# ამერიკის ელჩის კელი დეგნანის ვიზიტი



2022 წლის 5 აპრილს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს 30 წლიანი პარტნიორობის ფარგლებში, „საზოგადოება ბილიკს“ ესტუმრა.

ელჩი „საზოგადოება ბილიკის“ პროგრამებს გაეცნო, დაათვალიერა ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი ფოტოგამოფენა, მიიღო ინფორმაცია „საზოგადოება ბილიკისა“ და მშვიდობის კორპუსის თანამშრომლობის შესახებ. ასოციაციის თავმჯდომარე მარინე მღებრიშვილმა ელჩთან განიხილა ორგანიზაციის ამჟამინდელი პრიორიტეტები და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. ამერიკის ელჩს ასევე შეხვდნენ ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებმაც ისაუბრეს ამერიკელი მოხალისეების როლზე და მათ განხორციელებულ აქტივობებზე პროგრამის ფარგლებში.

კელი დეგნანმა დაათვალიერა ორგანიზაციაში არსებული ხელგარჯილობის სტუდია, პედაგოგთან და მოსწავლესთან ერთად კი მონაწილეობა მიიღო ხელნაკეთი თოჯინას დამზადებაში. მარინე მღებრიშვილმა, ორგანიზაციის სახელით ელჩს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

# მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები




2022 წლის 28 ივნისს, „საზოგადოება ბილიკს“ მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები: სკოტ ბიელი, გლობალური ოპერაციების დირექტორი; სარა დიჩი, მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი; ჯეფრი გოვეია, საქართველოში მშვიდობის კორპუსის დირექტორი; რენე რორსი, პროგრამებისა და ტრენინგის დირექტორი და თიკა რევიშვილი - პროგრამის კოორდინატორი ესტუმრნენ.

ასოციაციის თავმჯდომარე მარინე მღებრიშვილმა სტუმრებს „საზოგადოება ბილიკის“ საქმიანობა გააცნო, შემდეგ სტუმრებმა მშვიდობის კორპუსის მოხალისეების საქმიანობის ამსახველი ფოტოგამოფენა დაათვალიერეს და ისაუბრეს „საზოგადოება ბილიკისა“ და მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მრავალწლიან თანამშრომლობაზე.

„საზოგადოება ბილიკის“ თანამშრომლებმა მადლიერება გამოხატეს მოხალისეების მიერ გაწეული წვლილისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და დიდი მხარდაჭერისთვის.

# ჩეხეთის კარიტასის წარმომადგენლების ვიზიტი




2022 წლის 16 ივნისს, „საზოგადოება ბილიკს" ჩეხეთის კარიტასის კოლეჯის წარმომადგენლები ესტუმრნენ.

ასოციაციის თავმჯდომარე მარინე მღებრიშვილმა სტუმრებს ორგანიზაციის საქმიანობა გააცნო. შეხვედრის მიზანი იყო მხარეებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერება.

სტუმრებმა დაათვალიერეს „საზოგადოება ბილიკის" შენობა, მათ ასევე მოინახულეს „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრიც".

# HAN უნივერსიტეტის წარმომადგენლები ჰოლანდიიდან



ჰოლანდიის HAN University of Applied Sciences-ის წარმომადგენლები „საზოგადოება ბილიკს" ესტუმრნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობა და შეთანხმდნენ, რომ HAN უნივერსიტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან „საზოგადოება ბილიკში". პროგრამა გაგრძელდება 20 კვირა, ერთი კვირის განმავლობაში კი სტუდენტი ორგანიზაციაში გაატარებს 3,5 დღეს.

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი




2022 წლის 2 ივნისს, „საზოგადოება ბილიკსა" და „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებას" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი ითვალისწინებს სამომავლო თანამშრომლობას ამ ორ ორგანიზაციას შორის.



2022 წლის 12 აპრილს, „საზოგადოება ბილიკსა" და საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „მერსი ქორფს"-ის წარმომადგენლობა საქართველოში შორის, ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე) სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულების ბიზნესის მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

პროექტის აქტივობები ფოკუსირებულია ახალგაზრდების სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობაზე, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობაზე. მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მათ დასაქმებაში/თვითდასაქმებაში დაეხმარება.

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის არის 3.5 წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს მერსი ქორფსის წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC)დაფინანსებით.

## მედიის მიერ გაშუქებული სიუჟეტები და სტატიები

2022 წლის განმავლობაში „საზოგადოება ბილიკის” საქმიანობა მედიაში გაშუქდა 35-ჯერ.

- ✔ გორის მუნიციპალიტეტის სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებთან საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო. 19 დეკემბერი, 2022 წელი.
  ბმული: https://old.infocenter.gov.ge/4726-goris-municipalitetis-skolebis-samoqalaqo-klubis-tsevrebthan-sainforma-cio-shekhvedra-moetsyo.html?fbclid=IwAR0jVhjYO-klQ2EPiP2j9hWM9umaOv_KE6HlLY9DXDXCmoJKqPt_taWyj3c
- ✔ TV მონიტორინგი რეგიონალური ჰაბის საქმიანობის შესახებ. 13 დეკემბერი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/tvmonitoringi/videos/666323388485375
- ✔ რუსთავი 2-ის სიუჟეტი „საზოგადოება ბილიკისა” და TENENET-ის ერთობლივი პროექტის შესახებ. 8 დეკემბერი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/societybiliki/videos/1529946380763248
- ✔ Euronews Georgia-ს პირდაპირ ეთერში „საზოგადოება ბილიკის” ასოციაციის თავმჯდომარე მარიკა მღებრიშვილმა შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობაზე ისაუბრა.
  ბმული: https://www.facebook.com/euronewsgeorgia/videos/679550303552911
- ✔ პირველი არხი „საზოგადოება ბილიკისა” და TENENET-ის ერთობლივი პროექტის შესახებ, რომელიც ეხება შშმ პირთა დასაქმებას.
  ბმული:https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2F1tv.ge%2Fvideo%2Fshshm-pirta-dasaqmeba%2F%3Ffbclid%3D-IwAR1YATB95Ef5rwkbBQdFJQfd_U5Qp7uTq2gf1eDHhAzPAchqC_GUEP40r5s&h=AT3fE1BHWRkYOXcLDj6UhOUSIlfphqPs4hcs-BL5t_ZeuU8OmGxy4JPCvc859ydIYriOIGSyHl0OiX9vqfy-GwJGU5AyHtrqMUd2o-lw5PwHgwqlGFEWqOH5Ex-Ax56K38cpf&__tn__=H-R&c[0]=AT2Dra-NDvKiXJUztqFH9UE06zpR-30HEJWP9Jsk-T6pbysNV5XF0NGBYPi9leVqw3QVjlgyXHHCmb6-NshSvv0k_H81PwX79KTjrqq_QDyAUFCd2Okk7fGP1Isf9Fopc7XIId7_YVmRf5cYC88If9viP3ziDQLkkPi4b0_NUkyyhfUDdwGPDaWtmVY1ZBP-kEC2INX1Y6MW0
- ✔ „დილის პალიტრა” - შშმ პირთა დასაქმება.
  ბმული: https://www.facebook.com/PalitranewsTV/videos/3353203641608152
- ✔ Qartli.ge - 2022 წლის 24 ნოემბერს პროექტის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება“ ფარგლებში, განხორციელდა გაცვლითი სასწავლო ვიზიტი შიდა ქართლის პროფესიულ სასწავლებლებში. 29 ნოემბერი, 2022 წელი.
  ბმული:https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/19745-gacvlithi-viziti-shida-qarthlis-profesiul-sastsavle-blebs-shoris?fbclid=IwAR2ShHQbEV3DTuL2E0i6MjQdk72_TsNWh8pJ3vjF4uHwPAej-iWrcFymWyM
- ✔ Qartli.ge - სიუჟეტი შშმ პირთა დასაქმება 3 ნოემბერი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/societybiliki/videos/1085361362165527
- ✔ 2022 წლის 6 ოქტომბერს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის გახსნის ღონისძიება გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება გააშუქეს Neo Tv-მ და Qartli.ge-მ.
- ✔ Neo TV - USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის პრეზენტაცია - 6 ოქტომბერი, 2022 წელი.
  ბმული:https://neotv.ge/%e1%83%92%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%a8%e1%83%98-usaid-%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%9d-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90/?fbclid=IwAR38P4Fjmqt9H9QArOCOS3HgKxCRDKNZDW9Kbh1svnp80h-Cb6THXLnhaj9E
- ✔ Qartli.ge - USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის შესახებ. 6 ოქტომბერი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/568993651690282
- ✔ batumelebi.netgazeti.ge - Links პროექტის ფარგლებში „რედისონ ბლუ“ ბათუმში ბიზნეს გეგმის შემუშავების ორდღიანი სემინარი ჩატარდა 26-27 სექტემბერს.
  ბმული:https://batumelebi.netgazeti.ge/news/438801/?fbclid=IwAR2nJEqyE0CLnkspP8rYMNav6cpWjqX2a1iA-CXe_p7KaI-47AtkclsTU-8c
- ✔ Resilience + What reflections do you have from the ResiliencyPlus civil society strengthening process? 26 სექტემბერი, 2022.
  ბმული: https://www.facebook.com/partners.global.org/videos/812000433556737
- ✔ რუსთავი 2 - დილა მშვიდობისა საქართველო - USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა - ანი გიუნტერის ერთი დღე სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლაში.
  ბმული:https://www.facebook.com/GoodMorningGeorgia/videos/839415590567797
- ✔ TV იმედი - ბაკურიანის საზაფხულო ბანაკი - 2022 წელი, 7 სექტემბერი.
  ბმული: https://www.facebook.com/CityHallofGori/videos/640395500733610

- ✔ Qartli.ge – „საზოგადოება ბილიკისა” და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის მიერ ორგანიზებული ექვს დღიანი ნაყოფიერი და ემოციურად დატვირთული ტრენინგების სასიამოვნო შეჯამება - 19 ივლისი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.youtube.com/watch?v=t4N9pXR3dQA
- ✔ CityHallofGori - გორის მუნიციპალიტეტის მერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, ასოციაცია „საზოგადოება ბილიკის“ თავმჯდომარემ მარინე მღებრიშვილმა, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ნათია ნამიჭეიშვილმა, ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ტალახაძემ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. - 14 ივლისი, 2022 წელი.
  https://www.facebook.com/CityHallofGori/videos/379248944309198
- ✔ akhaliganatleba.ge - ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები საუბრობენ არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე და სასკოლო თვითმმართველობაში არსებულ გამოწვევებზე. - 30 ივნისი, 2022 წელი. პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”. პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და კონრად-ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. შიდა ქართლის რეგიონული ჰაბის საქმიანობას წარმართავს „საზოგადოება ბილიკი“.
  ბმული:https://akhaliganatleba.ge/%e1%83%a1%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%90-%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%94%e1%83%aa%e1%83%90%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%a1-%e1%-83%a9%e1%83%95%e1%83%94%e1%83%a3/?fbclid=IwAR0AeNCk9VpFM78EX3vKeeIW1yQCIMowlPLqEjlojLU_vpAik2O11IfJ_p8
- ✔ Qartli.ge - შიდა ქართლის 56 სკოლაში იწყება USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა- 24 ივნისი, 2022 წელი.
  ბმული:https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.qartli.ge%2Fge%2Fk_artevg%3Ffbclid%3DIwAR1D-bG9jStzgp3RDGW7U5owVsscLSnfzv9SFBJums5XLhzQF14PrG88pwtQ&h=AT1SvsaVcRhgXYzkGWXMc3XBGd8wljYmL-wOUGYUx3eSwx2DBBTwsIg73IJyNYxxgTJZiE-zbuhb1Q_q7QsTCjIj3XQUOSlDPAu25j-BTRQZ8fa3RJYvwWvcvGbhcKRrlL-TqW&__tn__=H-R&c[0]=AT0jLJDZrySFonxpR81pk90PMMrnpHPPq_vkC0jAFGBS-VeSlUmBU6A0Pr0e9BlBSKp7aa7Wizn48O-3bIjQu7AIY5HMtwhwwDRh82jv45xuee06N15s5iv06_SrtNHr6ZL5hlhCmvMANh9RwVvExpZI646Uc1trGcUtIM-O68L2HJIe7lYx-axCRuIIeDqlyG4DB7cF_Agb7pfys
- ✔ აჭარის ტელევიზია - „საზოგადოება ბილიკისა” და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის ერთობლივი პროექტის „დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე“ ფარგლებში ორგანიზებული ექვს დღიანი ინტენსიური ტრენინგი ქალაქ ქობულეთში. - 3 ივნისი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/societybiliki/videos/5173176619437624
- ✔ Qartli.ge - შიდა ქართლში შშმ პირებთან მომუშავე პროფესიონალები ესწრებიან მასშტაბურ ტრენინგს. 30 მაისი, 2022 წელი.
  ბმული:https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/19177-shida-qarthlshi-shshm-pirebthan-momushave-profesion-alebi-estsrebian-masshtabur-trenings
- ✔ 2022 წლის 21 მაისს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) და შიდა ქართლის რეგიონული ჰაბის - „საზოგადოება ბილიკის’’ ორგანიზებით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „რეგიონული ფორუმი ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისთვის“ გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება გააშუქეს: Qartli.ge-მ, TV მონიტორინგმა და ტელეკომპანია „დიამ”.
- ✔ Qartli.ge - „მოდი წამოვიწყოთ კამპანია, რომელსაც სათავეში ჩავუდგებით ჩვენ. მალე 18 წლის გავხდებით და მოგვეცემა არჩევნებში მონაწილეობის უფლება’’. კასპელი მოსწავლეების იდეა რეგიონალურ ფორუმზე - 24 მაისი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/733891390981651
  https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/1028290821137149
  https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/375581224538593
- ✔ TV მონიტორინგი - რეგიონული ფორუმი ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისთვის“. 24 მაისი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/tvmonitoringi/videos/2136768466491670
- ✔ ტელეკომპანია “დია” - რეგიონული ფორუმი ახალგაზრდული და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისთვის“. 24 მაისი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.youtube.com/watch?v=os8NhqEKKYk
- ✔ 2022 წლის 17 მაისს, „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში გაიმართა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის გახსნის ღონისძიება. პროგრამის მიზანია: ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება,

ინკლუზიური განვითარების პროცესის ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება გააშუქეს: Qartli.ge-მ და ტელეკომპანია “დიამ”.

- ✔ ტელეკომპანია “დია” - რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის გახსნა.
  ბმული:https://dia.ge/?m=4&ID=22423&fbclid=IwAR2r8B4hpuIcLiICq3KRRGRTe6dFvkgVrHflnFmgJNvdXgZQG6s5YQDMXoY
- ✔ Qartli.ge - რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის გახსნა.
  ბმული: https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/367307052040083
- ✔ Tv მონიტორინგი - რა პრობლემების წინაშე დგანან გორის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები - ტელეკომპანია „TV მონიტორინგის" გადაცემა შშმ პირთა პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს დაეთმო. გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ საქმიანობაზე ისაუბრეს „საზოგადოება ბილიკის" წარმომადგენლებმა მარიკა მღებრიშვილმა და თიკო გოგატიშვილმა, 24 მარტი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/tvmonitoringi/videos/962200514484998
- ✔ Qartli.ge – „საზოგადოება ბილიკისა" და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის წარმომადგენლების სლოვაკური გამოცდილების გაზიარება მცხეთაში, შშმ პირთა დასაქმების შესახებ. 9 მარტი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/504843357695420
- ✔ ტელეკომპანია „TV9" - მარსელა ჰაჯთმანკოვამ, სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის წარმომადგენელმა ისაუბრება სლოვაკეთში არსებულ შშმ პირთა დასაქმების საკანონმდებლო პოლიტიკაზე, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელისშემწყობ ფაქტორებზე და დამსაქმებელთა მოტივაციის ზრდის მეთოდებზე. ახალციხეში ჩატარებული სემინარი, შშმ პირების დასაქმების ბარიერებსა და მათ საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემებს დაეთმო. 3 მარტი, 2022 წელი.
  ბმული:https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/sazogadoeba/article/32160-shshm-pirtha-satciroebis-gansazgh-vra-da-mathi-ekonomikuri-aqtivobis-gazrda-shekhvedra-akhalcikheshi?fbclid=IwAR37NHdmRaqskO4Br1AyLq6YxE4ct-zL-cbbuTGA-pOFsoWAimKuLcXVSVck
- ✔ Tok tv - შშმ პირების დასაქმება და ბარიერები, 22 თებერვალი, 2022 წელი.
  ბმული:https://toktv.ge/%d0%bd%d0%be%d0%b2%d0%be%d1%81%d1%82%d0%b8/%e1%83%a8%e1%83%a8%e1%83%9b-%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%-93%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90/?fbclid=IwAR2rIBHJEmUI-oo_wDI2aFgNbuFm504yTDOUTTLqBzFh_lSxHZEF16-pVzU
  31. Qartli.ge - ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სემინარის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ ხორციელდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა. „ეს შეხვედრა ნამდვილად საინტერესო და მიზანშეწონილი იყო, რადგან ჩვენი მიზანი და ამოცანა სწორედ შშმ პირების დასაქმებაა" განაცხადა ახალციხეში გამართულ შეხვედრაზე, მშობელთა კავშირის “თანადგომა შვილებს" ხელმძღვანელმა მაია გაჩეჩილაძემ.
  ბმული: https://www.facebook.com/societybiliki/videos/3292713514295334
- ✔ 2022 წლის 21 თებერვალს, ქ. გორში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხებზე სემინარი ჩატარდა. აღნიშნული ღონისძიება გააშუქეს: Qartli.ge-მ და ტელეკომპანია “დიამ".
- ✔ Qartli.ge - გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სემინარის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება, როგორ ხორციელდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა - 23 თებერვალი, 2022 წელი.
  ბმული: https://www.facebook.com/Qartli.ge/videos/286684916885274
- ✔ ტელეკომპანია „დია" – „დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია" - შეხვედრა გორში, 21 თებერვალი, 2022 წ.
  ბმული:https://www.youtube.com/watch?v=2gpOg3yQrAA&fbclid=IwAR37Rh4V2QmaGPfcOiC5UHRAlDT-7GhhSxqr958h4itQEbhTFqTi6Pelq0o8
- ✔ ტელეკომპანია სეზონი - 2022 წლის 19 იანვარს „საზოგადოება ბილიკმა" უმასპინძლა ტელეკომპანია სეზონს/TV Sezoni, „ბილიკის" ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს საბავშვო გადაცემაში „სტუმრად პიკოსთან".
  ბმული: https://www.facebook.com/TVSezoni/videos/901434447210238/

## 2022 წლის ფინანსური ანგარიში

შემოსავალი
**1 148320.65** ლარი

სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება
**699 236.35** ლარი

დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლებიდან
**33 826.61** ლარი

გრანტები
**368 698.97** ლარი

ორგანიზაციის საკუთარი შემოსავალი
**46 558.72** ლარი

გასავალი
**1 130035.95** ლარი

სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება
**703 437.58** ლარი

დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლებიდან
**33 476.95** ლარი

გრანტები
**343 324.01** ლარი

ორგანიზაციის საკუთარი შემოსავალი
**49 797.41** ლარი




სულ ხარჯი - 1 130035.95 ლარი - 79,86 %

ადმინისტრაციული ხარჯი
227 612.73 ლარი - 20,14 %

## პარტნიორობა  და კოალიციები

**„საზოგადოება ბილიკის“ დონორები და პარტნიორები არიან:** Global Fund for Children; McCabe Pilgrimages, St Martin's Church/Worcester; American Friends of Georgia; UNICEF; Mercy Corps, Care International in Caucasus; PH International; USAID, EWMI; US Embassy in Georgia, Slovak Aid, Partners Georgia, TENENET, SOFT tulip; „გადავარჩინოთ ბავშვები“; მშვიდობის კორპუსი; ღია საზოგადოების ფონდი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გორის, ხაშურის, დუშეთის, ბორჯომის, ახალციხის და მცხეთის მუნიციპალიტეტები; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოსთვის;

## თანამშრომლობა/კოალიციები:

- ✔ ძალადობისგან დაცვის ქსელის შიდა ქართლის კომიტეტი;
- ✔ კავკასიის ქსელი ბავშვებისთვის (CNC);
  საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის; რეგიონალური ორგანიზაციების სამოქალაქო ქსელი;
- ✔ კავკასიის ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების თანამშრომლობის ქსელი (CCC);
- ✔ EASPD;
- ✔ World Federation Of Youth Clubs (Boys and Girls Clubs).



გორი, რუსთაველის ქ. #19/ა; 19/A Rustaveli Street, Gori
+995 (370) 27 54 10; +995 599 53 40 45
contact@biliki.ge; societybiliki@gmail.com;
www.biliki.ge
www.facebook.com/societybiliki